წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ორშაბათი 3 აგვისტო

# სამშობლო

№ 420

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., [illegible] 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის მეორე ქალთა პირველდაწყებითს სასწავლებელში განთავისუფლდა მასწავლებელი ქალის ადგილი. ამ ადგილის მიღების მსურველს შეუძლია მიმართოს თხოვნით ქალაქის გამგეობას 15 აგვისტომდის მდგომარე წლისა.

263 3—2 31-3 6

სასწავლებლის დახურვის გამო

ი ყ ი დ ე ბ ა

სასკოლო სკამები (პარტები), სკოლის სხვადასხვა მოწყობილებანი და

საწერი მანქანა

მსურველს ნახვა და პირობების გაგება შეუძლია თბილისის ქუჩაზე, გიორგი გურგენიძის სახლში.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიერ დაარსებულ სახელოსნო შკოლაში

სწავლა დაიწყება 1 ეკენისთვეს

გამოცდები მოხდება 31 მარიამობისთვეს. თხოვნები მიიღება 20 მარიამობისთვიდან. 1—1. 265

იძლევა იჯარით ჩემ მიერ იჯარით აღებული საღორიის აგარაკზე საეზოვე მიწა ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი ი. ჩარკვიანი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვოვსკის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მ ო ს ე შ ვ ი ლ ი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

აძლევს გაკვეთილებს

ფრანგულ ენისას.

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

დ. ლ ა ი ლ ა შ ი.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ეზანოიძე

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. **შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ** ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედაქც.

ვიყვან მოწაფეებს ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში. ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 1 აგვისტოდან ახალი პროგრამა:

ტანკონის სატახტო ქალაქის განონის სანახაობანი

ჯვაროსანი გზა

1914 წლის ომის ეპიზოდი 1 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა შესრულებული.

შვედური ასანთი

ანტ. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით. მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის მსახიობთა მიერ შესრულებული.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 1 აგვისტოდან. ახალი პროგრამა.

ქრონიკა გომონი. მიმდინარე ამბები.

როგორ აწიოკებენ ცოლები თავიანთ ქმრებს.

ორ აზროვანი ფარსი 6 ნაწ. მთავარ როლებში საბუროვის თეატრის მსახიობნი არიან: ქ-ნნი ბურაკოვსკაია, პანოვა, ბ-ნნი სვეტლოვი და კრამერი.

დავკარგე. 29 ივლისს სოფ. დიმიდან—როკითამდე გზაში დავკარგე უვადო პასპორტი, სალდათობის ლურჯი ბილეთი კონსტ. დ. რუხაძის სახელზე და 7 მან. ფულად. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს და პასპორტი და სალდათობის ბილეთი კი დამიბრუნოს.
ჩემი მისამართი: სოფ. ბაღდადი, თომა ქარაბაქი.

## გაზ. „სამშობლოს" რედაქცია

და კანტორა გადავიდა იქვე ახლოს, თბილისის ქუჩ., კნ. მიქელაძის სახლებში ფოტოგრაფიის გვერდით.

ი ყ ი დ ე ბ ა.

დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**პეტროგრადი.** 30 ივლისი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. შუა სერეტის რაიონში ჩვენი ჯარი სდევნის მოპირდაპირის ჯარს რომელიც გამაგრებულ პოზიციას სტოვებს, განაგრძობს შეტევას ეზერნისაკენ. ბუჩაჩის მიმართულებით, ამ ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარი მდ. შუკოროპეცის ხაზით გადავიდა და დაიპყრა სოფ. სლობუტკა, გურნა და ფოლვარკი მონასტირჟისკის მიმართულებით დაიპყარით რკინის გზის ლიანდაგი მონასტირჟისკა-ვიჩურის შუა და აგრეთვე ზლოტა-ლიპასა და ხოროჟანკას შუა მდებარე რაიონი სოფ. კრასეივუდამ უსტიე-ზელიონამდე. სტანისლავოვის რაიონში ჩვენი ჯარი გადადის მდ. ბისტრიცა-ნადვორაცისას და ბისტრიცა-სოლოდვორაცისას, სტანისლავოვის დატოვების დროს მოწინააღმდეგემ მხოლოდ ლიანდაგის ისრები ააფეთქა, ქალაქი ხელუხლებელია.

**კავკასიის ასპარეზი.**

გიუმიშხანეს დასავლეთით ოსმალებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ ყველა იერიში სროლით მოვიგერიეთ. დატყვევებულ ასკერებს აღმოაჩნდათ პატრონები თავ წაჭრილ ტყვიით გატენილი. მათი სიტყვით ერთი თვის წინად პოლკის უფროსმა ბრძანება გასცა, ყველა ასკერმა 100 ცალი ამისთანა პატრონა დაამზადოსო. რისთვისაც ჯარისკაცებს განსაკუთრებული ქილები დაურიგეს. ბითლისის ჩრდილოეთით მკაცრი ბრძოლა კვლავ სწარმოებს. სპარსეთში, ბოძანის რაიონში ჩვენი ჯარი სდევნის ოსმალთ, რომელნიც სწრაფად საყიზისაკენ იხევენ.

**პეტროგრადი.** 30 ივლისი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანის და ავსტრიის ბრძოლის პირი, დიდი მთავრის მემკვიდრის სწორედ დაბადების დღეს ჩვენმა ჯარმა დაიპყრო უკანასკნელი ნაწილი იმ გამაგრებულ ხაზისა, რომელიც მოწინააღმდეგემ წარსულზამთრის განმავლობაში ალმართა მდ. პრიპიატიდან რუმინიის საზღვრამდე გენერალ სახაროვის და შერბაჩევის ჯარებმა გენერალ ბრუსილოვის საერთო ხელმძღვანელობით შვიდი კვირის ბრძოლის შემდეგ დაიპყრო გამაგრებული სოფლები გლიადკი, ვორობიევკა, ცებროვი, ეზერნა, პოკრაშინა, კოზლოვი და გამაგრებული. კურკანოვის ტყე და მთელი ხაზი მდ. სტრიპისა. ორი მხრით შემოვლილი ჩვენ მიერ ტარნოპოლის წინ მდებარე გამაგრებული პოზიცია დაემხო. გენერალ ლეჩიცკის ძლევა მოსილმა ჯარმა დაიპყრო ქალაქი ნადვორნია და სოფ. ბიტკოვი და გადვიდა მდ. ბისტრიცა-სოლოდვინისაზე.

**პეტროგრადი.** 31 ივლისი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ნოვოგრუდკო გოროდიჩესტოლბცის რაიონში ჩვენს პოზიციებს მოპირდაპირის ჰაეროპლანები დასტრიალებდნენ ადამოვთან (დაბა მირის დასავლეთით) სანიტართა რაზმს ათი ყუმბარა დაახალეს. ქალ. ნესვიჟს წამოუარა მოპირდაპირის ჰაეროპლანმა, მაგრამ მას ჰაერში დაეცა ჩვენი მფრინავი შტაბს-კაპიტანი კრუტენი და მოკლე ხნის ბრძოლის შემდეგ აიძულა ძირს დაშვებული ყო. მოპირდაპირის მფრინავები და აპარატი ხელში ჩავიგდეთ. კრევოს რაიონში 29 ივლის ღამით ტყვიით დასჭრეს პოლკის მღვდელი მღვდელ მონაზონი ანატოლი, რომელიც მავთულის ღობის მახლობლად სამწყსოს სამსახურს ასრულებდა დაჭრილთა და მოკლულთათვის. მდ. ზემო სერეტით გენერალ სახაროვის ჯარმა განავითარა თავის წარმატება და უკუაქცია მოპირდაპირე გამაგრებულ პოზიციიდან და სოფ. ზვიჟენ-ოლეუვ ბზივიცა-ბალკოვცეს ხაზს მიაღწია. გენერალ შერბაჩევის ჯარმა მოპირდაპირის დევნაში დაიპყრო ქ. ეზერნა და მთელის ბრძოლის პირით გაიწია და მიაღწია მდ. სტრიპას სათავეს სოფ. პლაჩა ვოლკადან დაწყებული სოფ. პლოტიჩამდე, სადაც მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადადის. პლოტიჩეს სამხრეთით სლობოდა-ზლოტა უვასეს ხაზს მივაღწიეთ და ჩივადექით ქ. პოდგაიცეს და დაბა ხოხოლჩეს. მდ. კოროპეცის ქვემო ნაწილით ვადასულმა ჩვენმა ჯარმა დაიპყრო გამაგრებული პოზიცია მაღლობზე, რომელიც მდ. კოროპეცის,

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციაში ავსტრიელები კვლავ უკან იხევენ. ქ. ბუჩაჩის დასავლეთით ზოგ ალაგას რუსები მდ. კოროპეტზე გადავიდნენ და რამდენიმე სოფელი აიღეს. მონასტირჟისკე ნიჟნიუვის რკინი გზის მიდამოებში რუსებმა კარგა ფართე ალაგი ჩაიგდეს ხელში. რუსებმა ქ. სტანისლავოვი აიღეს; ქალაქი უვნებელია. ავსტრიელებმა მხოლოდ რკინის გზის აფეთქება მოასწრეს ტარნოპოლის და ბუჩაჩის მიდამოებში რუსებმა მრავალი სიმაგრე იგდეს ხელთ. რუსებმა აიღეს ქ. ეზერნი. მდ. კოროპეცზე და ზოლოტაია ლიპაზე რუსებმა პოზიციები წაართვეს ავსტრიელებს. სამხრეთ კარპატებშიაც რუსები წინ მიიწევენ. დნესტრზე რუსებმა აიღეს ქ. მარიუმპოლი.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიშხანეს დასავლეთით ოსმალებმა შემოტევა იწყეს, მაგრამ რუსები მათ იგერიებენ. ბითლისის ჩრდილოეთით მკაცრი ბრძოლები კვლავ გრძელდება. სპარსეთში რუსებმა მოწინააღმდეგეებს უკან დაედევნენ, ვანის ტბის დასავლეთ ნაპირზე რუსებმა კონტრიერიშის წყალობით ოსმალებს უკან დაახევინეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** იარის მიდამოებში ინგლისთა მოწინავე რაზმები მარჯვედ მოქმედებენ. მდ სომმის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლაა. ბეზანტენლეპტის ჩრდილოეთით ინგლისელების მიერ წართმეულ თხრილებზე იერიშები მიიტანეს: მაგრამ ინგლისელებმა მოიგერიეს. სომმის მიდამოებში ფრანგებმა 6 კილომეტრით წინ წაიწიეს. მფრინავთა მოქმედება ასპარეზის ჩრდილოეთის ნაწილში განცხოველდა.

**იტალიის ასპარეზი.** ავსტრიელებმა გორიცის აღმოსავლეთით მთებზე ჯარები შეჰყარეს და იერიშების მიტანას ფიქრობენ. ასპარეზის სხვა და სხვა ნაწილში იტალიელები წინ მიიწევენ.

ზლოტალიპას და ხოჟანკას შუა მდებარეობს და დასავლეთით მივაღწიეთ მდ. დნესტრს. ქალაქ მარიამპოლთან. ობერივთან 30 ივლისს მარჯვედ მოქმედობდა ბელგიელების ჯავშნოსანი ავტომობილი. ბისტრიცა-ნადვორნის და ბისტრიცა-სოლოდვინის ნაპირებით ჩვენი ჯარი ხიდებს აკეთებს და გადადის დასავლეთ მხარეს. მოპირდაპირე ყუმბარას უშენს ბისტრიცა-სოლოდვის დასავლეთ ნაპირიდან დელატინის სამხრეთით ტყიან კარპატის რაიონში ვაროხტასთან, ზაგურასთან და იაბლონიცასთან კვლავ წინ ვიწევთ. აქ რამდენიმე მაღლობზე გავმაგრდით. მოპირდაპირის კონტრიერიშები ყველგან მოვიგერიეთ.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** ვანის ტბის დასავლეთ ნაპირით ტადვანის რაიონში კონტრიერიშით უკუვაქციეთ ოსმალები სამხრეთისაკენ.

**პეტროგრადი,** 30 ივლისი. ოფიციალური. ჩვენი ჯარი განაგრძობს მდ. სტრიპის, კოროპეცის და ზლოტალიპის გადალახვას. ქალაქი ჰოდგაიცე დავიპყარით. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დნესტრის ნაპირი ქ. მარიამპოლი დაიპყრა. ბისტრიცას რაიონში მოპირდაპირე უკუვაქციეთ მდ. ბისტრიცა სალოდოვის მარცხენა ნაპირზე და ერთმა ჩვენმა პოლკმა დაატყვევა 12 აფიცერი, 100 ჯარის კაცი, წაართვა 7 ტყვიისმტყორცნელი და ერთი ზარბაზანი.

**პარიზი,** 30 ივლისი. ცნობა დღისით. მდ. სომას ჩრდილოეთით ვამაგრებდით ახლად დაპყრობილ პოზიციებს და მზვერავები შეიჭრნენ სად. გემის აღმოსავლეთით მდებარე ტყეში, სადაც მოკლულთა მრავალი გვამი ნახეს. საღამოს 9 საათზე გერმანელები იერიშს შეეცადნენ გემის ტყესთან მდებარე ქვისამტვრევის წინააღმდეგ, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ.

მდ. სომას სამხრეთით არტილერიის მკაცრ სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს მეზონეტზე, მაგრამ სროლითვე დაუხვდით და თავის თხრილებში დავაბრუნეთ. მაასის მარჯვენა ნაპირით ღამე' წინ წავიწიეთ ტიომონის სიმაგრის სამხრეთით. გერმანელების ორი იერიში ფლერისა და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პოზიციების წინააღმდეგ, მოვიგერიეთ. არტილერიის ბრძოლა ვო-შაპიტრშენუას რაიონში და სან მიელის ჩრდილო-დასავლეთით კვლავ სწარმოებს. ლორენში, ვეხოს მახლობლად გერმანელების მზვერავები თოფის სროლით გავფანტეთ.

**რუმინიაში.**

**ბუქარესტი,** 29 ივლისი. „უნივერზულ"-ი ფიქრობს, რუმინიის სამხედრო მდგომარეობა მეტად ხელსაყრელია, რადგანაც ოთხთა შეთანხმების სასარგებლოდ მისი ომში ჩარევა გადამწყვეტ შედეგს მოიტანს, მაგრამ საჭიროა მოკავშირეთა მხრით გარანტია, რათა რუმინიამ შესძლოს თავის დავალების აღსრულება. სოლუნის მხრით გენერალ სარაილის საკმაო ძალებით შემოტევა, აი რას მოითხოვს რუმინია ოთხთა ,შეთანხმებისაგან ჩარევის დასაჩქარებლად. როდესაც დუნაის მხრით ზურგი უზრუნველყოფილი იქნება, მაშინ რუმინია შესძლებს მონაწილეობის მიღებას იმ საერთო შეტევაში, რომელსაც ოთხთა შეთანხმება მოპირდაპირის წინააღმდეგ ამზადებს. „უნივერსულ"-ის ასეთი აზრი გამეფებულია რუმინიის საზოგადოებრივ წრეებში.

# ზღვა.

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა!

პირველათ ვნახე, როცა ხან ერთსა და ხან მეორეს ხელჩაკიდებული დავყავდი.

ლურჯი იყო, ღია, არ იძოოდა და თავისუფალი; თითქოს ლოცვის ბურუსში გახვეული გაქვავებული იყო. მოსჩანდა მის ძირში ჭრელ-ჭრელი ქვა, დანაოჭებული სილა.

ანკარა, მხიარული იგი მიწვევდა ნათელ სივრცეში, სადაც უერთდებოდა მასავით სუფთა, ლურჯ ცას.

გულუბრყვილოთ შევცქეროდით ერთმანეთს; მისი არ მეშინოდა; მას ვენდობოდი, და იგი სიყვარულით ბუტბუტებდა და ფიანდაზათ ეშლებოდა იგი, მომხიბვლელი.

* *
*

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა!

ჭაბუკი ვიყავ, მივდიოდი გემით, თითქოს მწვანე საბნის ქვეშ მწოლარე ზღვის ქალი აზმორებსო, ტორტმანობდა და იკეცებოდა ნელა-განცხრომით, აბრეშუმის ზედსაფარი—ზღვა.

მსურდა ღელვა... ახდა ზეწრის და შიგ ცქერა.... ტალღათა შეხება.... იგი მიზიდავდა....

* *
*

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა!

წყლის გააფთრებულს მთებს აეშალა ფაფარი, ერთი მეორეს ეხეთქებოდა და ნაშხეფარის მტვერი ვერცხლის წვიმათ ეყრებოდა მენავის მარჯვე, მკვიდრ მკლავს.

ღრიალებდა, გრგვინავდა, გარბოდა გაშმაგებული, ყალყზე დგებოდა ფერმკრთალი სტიოქინი, ხან დაგვცინოდა უძლურებისთვის, როცა თაყვანს ვცემდით მას, ხან წამით დარცხვენილი, ვინ იცის იქნებ გახარებულიც, გაიპარებოდა ნავის ქვეშ, რომ ისევ გაეშინჯა მკლავის ღონე, თვალის სიმარდე, გულის სიმაგრე.... და მისი დაუდგრომლობა ხალისს გვაძლევდა, გვაქეზებდა, საომრად გვიწვევდა.

* *
*

რა [illegible]ენიერი, რა დიდებული არის ზღვა! შორიდან ვუცქერ. შერევია ღელე, ტალახი.... ამღვრეული.. და დამაშვრალი ნელ-ნელა სთხრის თიხიან ნაპირს.

ტალღები დარაზმულათ აღარ ურტყამს ნაპირს ნამალევათ მოიპარება და დარცხვენილი მიდის უკანვე.. ის მიდის ისევ შუა ზღვაში, სადაც სიჩუმეა სამარადისო, წყნარი იდუმალება სუფევს, სადაც სხვა ქვეყანაა, სხვა მცენარე, სხვა ცხოვრება და ნეტარება.... და ზღვა დასასვენებლათ მეპატიჟება

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა!

ნ დ.

# ქურნალ-გაზეთებიდან.

ამერიკულ „ნევ-იორკ-გერალდის" მოწმობით გერმანელებს გამოუგონებიათ ახალი მოწყობილობის ცეპელინი. ამ საჰაერო გემთან შედარებით წინანდელი ცეპელინები სათამაშოებად მოეჩვენება ადამიანს. გერმანელები დიდ იმედებს ამყარებენ ამ გემებზე და გაიძახიან, რა კი ინგლისი გაჯიუტდა და მოითხოვს „ომს ბოლომდის, მალე ჩვენი არწივი ბრჭყალებს ჩაუჭერს ინგლისის ლომსაო."

—

გერმანიაში რეპრესიული ზომები მიუღიათ სოციალისტურ გაზეთების წინააღმდეგ; ეხლახან დაუპატიმრებიათ „ფორვერტსის" რედაქტორი მეიერი.

—

იტალიელებს ახალი ზარბაზნები გამოუგონებიათ. ეს ზარბაზნები უხმოდვარდებიან თურმე.

—

გერმანელები ჰოლანდიაში 300 ათას ბავშვი გაუგზავნიათ, რათა ისინი შიმშილსა და გაჭირვებას გადაარჩინონ

—

გერმანიაში დაარსდა ერთი კომიტეტი, რომელმაც ყოველ ნაირი ზომები უნდა მიიღოს გერმანელ ხალხის გასამრავლებლად.

—

გერმანული გაზეთები გაიძახიან საკმარისია ერთი ის, რომ ჰინდენბურგი დაინიშნა მთელი აღმოსავლეთ ასპარეზის მთავარსარდლადაო. ის გასაჭირს ადვილად გადაარჩენს ავსტრია-უნგრეთს, ისე როგორც მან დაიხსნა აღმოსავლეთი პრუსია ხიფათისაგანო.

—

ჰინდენბურგს მოწინავე პოზიციები დაუთვალიერებია და ჯარი მას აღტაცებით შეხვედრია.

—

გერმანული გაზეთები ურჩევენ ავსტრია უნგრეთს დაივიწყეთ ყოველივე კერძო ინტერესები და თქვენი სურვილი დროის მოთხოვნილებას დაუქვემდებარეთო.

—

კუტელ-ამარასთან ოსმალების მიერ დატყვევებულ ინგლისელ ჯარში მაჰმადიანებიც ყოფილან. ყველა ტყვე მაჰმადიანები ოსმალებს გაუნთავისუფლებიათ. ისინი სულთანს მიუღია მოფერებით მოპყრობია მათ და დიდი დახმარებაც აღუთქვამს მათთვის თუ ისინი იქადაგებენ სხვა მაჰმადიანთა შორის სამღვთო ომის სასარგებლოდ.

—

ოსმალეთში მრავლად ჩასულან გერმანელი მოხელეები და მათ დიდ თანამდებობას აძლევენ ოსმალონი. სხვათა შორის სრულიად ოსმალეთის სამეურნეო ბანკის გამგედ გერმანელი დაუნიშნავთ.

—

ეხლახან საფრანგეთში მყოფი ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზმა ფრანგთა ასპარეზი დაათვალიერა და სხვათა შორის ფრანგებთან ერთად მომქმედ რუსის ჯარს ესტუმრა. ამ დროს გერმანელთა ჰაეროპლანმა იმ შენობას, სადაც დიდებული სტუმარი იმყოფებოდა ყუმბარები ესროლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია მეფე ნიკოლოზი დიდ ხანს თვალს ადევნებდა ჰაეროპლანის სრიალს ჰაერში და შემდეგ, გამოეთხოვა რა მონათესავე რუსის ჯარს, ავტომობილით თავის ბინისაკენ გაემართა.

—

ფრანგებს მესამე არმიის შტაბთან სამხატვრო გამოფენა მოუწყვიათ. გამოუფენიათ ჯარში გაწვეულ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებნი.

—

ინგლისზე თავდასხმის შემდეგ ერთი ცეპელინი იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ გერმანიის მიწაწყალზე გადმოსვლისთანავე დაბლა დაშვებული.

—

გერმანული გაზეთები ირწმუნებიან, რომ რუმინია აწ აღარ ჩაერ[illegible] ბიც მომავალ ცვლილების შესახებ რუმინიის კაბინეტში [illegible] ლიაო.

—

რუმინიის მეფე ფერდინანდი სანადიროდ წასულა.

—

რუმინიის ვაჭრების მინისტრს ვენაში დელეგატები გაუგზავნია რათა მათ მოაწესრიგონ რუმინეთსა და ავსტრიას შორის საქონლის გაცვლაგამოცვლა.

—

სერბიელთა ამბოხება ბულგარეთის მაკედონიაში თანდათან ძლიერდება და ბულგარები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ამ მოვლენას. აჯანყებულნი მთაგორებში არიან გახიზნულნი და მშვენივრად ყოფილან შეიარაღებულნი; ამ ბოლო დროს მათ რამდენიმე ასი ტყვიის მფრქვევლი მიუღიათ, შესულან ერთ ქალაქში დაუტუსაღებიათ გუბერნატორი, რამდენიმე მოხელე და მთებში წასულან.

—

გერმანული გაზეთები ათავსებენ თავიანთ ახალი ცეპელინების აღწერილობას. მათი სიტყვით მალე ნიუ-იორკს ესტუმრებიან თავის ახალ საჰაერო გემებით.

—

ოსმალეთის ასპარეზზე გმირულად გარდაიცვალა შტ- კაპ კონსტანტინე ჟურულ. ის მთელი ორი წელიწადია სულ ჯარში იყო და თითქმის ყველა ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. მისი გმირობა ცნობილი იყო მთელ ჯარში, ხოლო მისმა კეთილშობილურმა და ადამიანურმა მოპყრობამ ჯარისკაცთა სათაყვანებლად გახადა იგი.

—

სპარსეთის პრინცი ზილი სულთანი მრავალ-რიცხოვან შეარაღებული ამალის თანხლებით ისპაანში გაემგზავრა.

—

ომის ორი წლის შესრულების გამო გერმანიაში მიტინგები გაიმართა, სადაც მრავალმა პროფესორმა და საზოგადო მოღვაწემ მხურვალე პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა. მრავალ ქალაქში, როგორც მაგალითად ჰამბურგში, ხალხი გაიძახოდა: „წყალქვეშა ნავო წინ, ძირს ინგლისი".

—

გრ. რევენტლოვის ცნობით, როდესაც პრ. გარნაკი უკიდურესს ანექსიონისტების აზრს არჩევდა, ხალხმა მას ოვაცია გაუმართა.

# ინგლისში.

ინგლისელებს გატაცებით უყვართ თავიანთი მეფე იმიტომ, რომ ინგლისში მეფე მხოლოდ მეფობს და სახელმწიფო საქმეების მართვა და გამგეობაში არ იღებს არავითარ მონაწილეობას.

ხალხი მეფეს ერთგულებას უცხადებს, ყოველწლიურ ჯამაგირს აძლევს,—სამაგიეროდ მეფემ წარმომადგენლობა უნდა გაუწიოს ინგლისს შინ და გარედაც.

დედოფალი ვიქტორია მოხუცებულობის დროს ერთ ხანს არ გამოდიოდა გარედ და არ სჩანდა ოფიციალურ დღესასწაულებზე და ინგლისის გაზეთებში თანდათან უფრო ხშირი შეიქმნა საყვედურები: „ფულს ვიხდით და დედოფალი კი თავის პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებსო".

სახელით მეფე მთავრობის სათავეში სდგას, მაგრამ მთავრობის, მინისტრების მოქმედებაში არავითარ პასუხს არ აგებს—პასუხისმგებელნი თვითონ არიან ამიტომ სხვა ქვეყნებში მინისტრები თუ ემორჩილებიან მეფეებს, ინგლისში პირიქით თვით მეფე იქცევა ისე, როგორც ამას მოისურვებენ მისი მინისტრები, ან მინისტრების მოთავე,—პრემიერი

ერთი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რა რიგათ დამოკიდებულია ინგლისის მეფე მინისტრების სურვილზე.

ლიბერალი სამინისტრო 1839 წ. იძულებული შეიქმნა დაენებებინა თავი სამსახურისთვის. ახალი სამინისტროს მოწვევა მიენდო კონსერვატორს რობერტ პილს. პილიც დასთანხმდა, მინისტრებიც მოიწვია უკვე, მაგრამ უცებ შეიტყო რომ დედოფალ ვიქტორიას, იმ დროს 19 წლის ყმაწვილ ქალს, ჰყავდა ორი კამერფრეილინი, რომელიც ემხრობოდნენ თურმე ძველ სამინისტროს. რაკი ორივე ეს ქალი დედოფალთან დამეგობრებული იყო, თითქმის მუდამ ერთად ატარებდნენ დროს, ამიტომ პილმა იფიქრა, შეიძლება მათმა გავლენამ დედოფალზე შემიშალოს ხელი სამინისტროში ყოფნის დროს და ორივესი დათხოვა მოითხოვა.

დედოფალმა უარი განაცხადა მეგობარ ქალების დათხოვნაზე და გამოაცხადა, რომ სამინისტროს აქვს უფლება მოსთხოვოს სამინისტროში მოსამსახურე პირების დათხოვნა, მის სასახლესთან და კერძო ცხოვრებასთან კი არავის არავითარი საქმე არა აქვს და არ შეუძლია მიბრძანოს რამეო.

ამ საქმემ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია ინგლისში. ზოგიერთი, მართალია, აქებდა დედოფლის რაინდობას, მეგობრები არ გასწირაო, მაგრამ უმეტესობა ამტკიცებდა, რომ ხალხისათვის არაფერი მისაღებია მის მეფის კერძო შეხედულება და გრძნობები. მეფე ჩვენი ფულით არის, ჩვენი სურვილით მეფობს და ყოველთვის ხალხის სარგებლობას და ხალხის სურვილებს უნდა მიზდევდესო. ამიტომ მეფემ უნდა აასრულოს ყოველთვის მინისტრების რჩევა, როდესაც მინისტრები რასმე მოითხოვენ ხალხის საკეთილდღეოთო.

დრო გადიოდა და ხალხის უკმაყოფილობაც მატულობდა თანდათან,—ამბობდნენ დედოფალმა ორ ქალის კაბას ანაცვალა ხალხის სურვილიო.

ბოლოს, ახალი არჩევნების დროს, ხალხმა დიდი ხმის უმეტესობით აირჩია წარმომადგენლებად პილის მომხრეები.

დედოფალმაც ძალა უნებურად დაითხოვა თავისი ერთგული მეგობარი ქალები, რომელნიც თან ჰყავდა ყოველთვის საწოლ ოთახში.

დედოფლის საწოლ ოთახშიაც ხალხი ბატონი შეიქმნა...

მეორედ მოუვიდა დედოფალ ვიქტორიას უთანხმოება მინისტრებთან ბურების ომის გამო. დედოფალი ამ ომის წინააღმდეგი იყო. სამოცი წლის განმავლობაში მეფობდა ვიქტორია ისე, რომ დაიმსახურა ხალხის სიყვარული და არ უნდოდა ეხლა დაეწყო ომი, რომელსაც, ათასი სხვა-დასხვანაირი უსიამოვნება მოყვებოდა და შინაური განხეთქილებაც. მაგრამ აქაც ხალხის სურვილს დაემორჩილა მეფე, | დაივიწყა თავისი კერძო სურვილი და პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად გამოაცხადა ომი.

ინგლისის კონსტიტუციის თანახმად, მეფე ზემო და ქვემო პალატებთან ერთად შეადგენს ინგლისის მთავრობას. კანონდებლობაში მეფე ამ პალატებთან ერთად იღებს მონაწილეობას. მეფე აყენებს, ან ამტკიცებს უმთავრეს მოხელეებს სახელმწიფოში მეფე იწვევს და ითხოვს პარლამენტს, თავის მინისტრების პირით აძლევს პარლამენტს სხვადასხვა წინადადებას. ამას გარდა ორივე პალატისაგან გადაწყვეტილიც რომ იყოს რამე, ამ გადაწყვეტილებას არა აქვს სავალდებულო ძალა, მანამ მას არ დაამტკიცებს მეფე. ერთის სიტყვით ყველგან და ყველ აფერში მეფე, კანონის ძალით, იღებს მონაწილეობას, მაგრამ ცხოვრებამ სულ გამოცვალა კანონი.

ეხლა მეფე ინგლისში მხოლოდ მინისტრების სურვილს ასრულებს ხოლმე და ეს მინისტრები კი პალატაში უმეტესობის წარმომადგენელნი არიან და ამიტომ ხალხის უმეტესობის წარმომადგენელნიც.

მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ერთი მაგალითიც არ იყო იმისი, რომ მეფეს არ დაემტკიცებინოს პალატის გადაწყვეტილება, და საქმით ინგლისში ნამდვილი გამგე და ბატონი პარლამენტია,—მეფე მხოლოდ სიგელით არის მეფე. ინგლისის მეფე იგივე საფრანგეთის ან შვეიცარიის პრეზიდენტია, იმ განსხვავებით კი, რომ რესპუბლიკებში პრეზიდენტს ირჩევენ რამდენსამე წელიწადში ერთხელ, ინგლისში კი მეფის უფლება მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, თუმცა აქაც ამ უფლების სათავე, საფუძველი, იგივე ხალხია

ვილჰელმ ორანელი ხალხმა აიყვანა სამეფო ტახტზე. შემდეგ, როდესაც მეფე გიორგი III გაგიჟდა, პარლამენტი ასრულებდა მის მოვალეობას, და ეხლაც ინგლისის ოფიციალურ გამოცემებში სწერია, რომ „კონსტიტუციის ძალით, უმაღლესი საკანონმდებლო უფლება აქვს მინიჭებული პარლამენტს".

მაშ რაღა ყოფილა მეფე? მეფეა ინგლისის ერთობის გამომხატველი, მეფე ინგლისის ოფიციალური წარმომადგენელია საერთაშორისო საქმეებში.

ამ სამსახურისთვის ჯამაგირიც აქვს დანიშნული მეფის სახლობას.

ეხლანდელი ინგლისის მეფე ედუარდ მეშვიდე რომ ავიდა ტახტზე, ამნაირი წერილი მისწერა პარლამენტს: მის უდიდებულესობას სურს, რომ შესაფერად იყვნენ უზრუნველყოფილნი მისი ვაჟი და ქალები, სურს რომ იყოს აგრეთვე უზრუნველყოფილი მისი მეუღლეც მეფის

# საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

„თანამედროვე აზრი" ტყვეობიდან დაბრუნებული ვოლნოპრედელჟაჟუშჩის ...ავით ტოპელ-ბერგის პირით გერმანელთა და ავსტრიელთა მიერ საერთაშორისო უფლების დარღვევის ერთს საზარელ ნიმუშს მოგვითხრობს.

ზოგემიის ერთს ქალაქში (ეგერში) ...ათასზე მეტი ქართველი ტყვე შეუკრებიათ და ასამხედრებლად წაუქეზებიათ.

და, როდესაც წაქეზებას არ გაუჭრია, შეშინებისა და შევიწროებისათვის მიუმართავსთ და ისედაც მცირე და უვარგისი საზრდო კიდევ უფრო შეუმცირებიათ და გაუუარესებიათ, რის გამოც ჰლექით ავადმყოფობა და სიკვდილი ქართველთა შორის ერთობ გახშირებულა.

საკვირველია ჩვენი ბედი: საერთო უბედურება ჩვენ განსაკუთრებულ ქარტეხილსა და მეხს მოგვივლენს ხოლმე.

უეჭველია, ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ ვერ გვიცნობენ.

თვარა, გერმანელებს რომ სცოდნოდათ, ქართველი არაოდეს მოღალატე არა ყოფილა, ხსენებულ ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა.

და, მეორე, ნუ თუ საერთაშორისო სამართლის ასე საცინლად აგდება შეიძლება?! განა შესაძლებელია, რომ ტყვეს, რომელიც გუშინ რუსების გვერდით ავსტრიელებსა და გერმანელებს ებრძოდა, აქეზებდენ, ახლა რუსებს შეებრძოლეო?

ამ გვარი წაქეზება არა თუ პროვოკაცია, არამედ უზომო უზნეობა, საშინელი უსამართლობაა!

მადლობა ღმერთს, ქართველები ვეღურები არ არიან, რომ ამგვარი წაქეზების ფასი ვერ გაიგონ და ავი კარგისაგან, და ბოროტი კეთილისაგან ვერ გაარჩიონ.

დეე, იცოდენ, რომ იმ ერის გაბრიყვება, რომელსაც თავისი ისტორია ჰქონია, შეუძლებელია და ქართველ ტყვეებს თავისი უფლება კარგად ესმით, ე. ი. მათ იციან, ტყვეები რომ არიან და, მაშასადამე, არ აქვსთ უფლება რუსების ან რუსების მეგობრების წინააღმდეგ იომონ მით უფრო, რომ ეს მთელის ჩვენის წარსული ისტორიისა და ტრადიციის უარყოფა და, მაშასადამე, ქართველი კაცის ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა.

დიაღ! როდესაც ისტორიამ საქართველოს ბედი რუსეთის ბედთან გადააბა და დააკავშირა და, როდესაც ქართველმა ერმა რუსეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოთა საერთო საქმეს თავის გმირშვილთა ამდენი სისხლი შესწირა რა ვერაგობაა, ქართველ ტყვეებს რომ ეუბნებიან, შენს თანატომთა და თანამოქალაქეთ ებრძოლეო! და იმავე დროს რა საშინელი ბარბაროსობაა ტყვეების დასჯა მხოლოდ მიტომ, უკანასკნელთ რომ ეს მზაკვრული წინადადება ზიზღით უარყვეს!

ვასილ წერეთელი.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

**ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნუმერი ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ გამოსულა.**

✦ კავკასიაში ჩამოვიდა კათოლიკეთა ეპისკოპოსი როპი რომელიც მოხსენებას წაიკითხავს თბილისის პოლონელთა კომიტეტში.

✦ ბათომში ამ ჟამათ დიდი იაფობა ყოფილა თბილისის „პოგრომით" დაშინებულ ვაჭრებს 70—75 პროც. დაუკლიათ ჩვეულებრივ ფასზე.

✦ დ ზუგდიდში გაიხსნა ქალთა 4 კლასიანი პროგიმნაზია სწავლა 1 სექტემბერს დაიწყება, მიღება პირველ აგვისტოდან დაიწყო

✦ როგორც სახალხო მინისტრმა განმარტა ის სახალხო მასწავლებლები, რომელთაც ცოტა მიწა აქვთ სოფლებში, შეიძლება რომ სამიწო გადასახადიდან განთავისუფლდენ.

✦ ქარვასლის ქუჩაზე დიდი უსუფთაობაა რესტორან „ნოეს ვაზისაგან" „ლევ"-იდან და სხვ. ყოველ დღე აქცევენ ნარეცხ წყალს და სხვ. რის გამო ქუჩაზე ძლიერ გლახა სუნი სდის. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ქალაქის სანიტარებმა.

✦ 7 აგვისტოდან ქ. ქუთაისში შესდგება სახალხო მასწავლებელთა კურები რომელიც გაგრძელდება სამ კვირას სხვათა შორის ლექციებს წაიკითხავს გიორგი ნიორაძე

✦ წელს, როგორც პეტროგრადიდან გვაცნობებენ სამინისტრომ არ სცნო შესაძლებლათ ქალების მიღება უნივერსიტეტში.

✦ სხვა დასხვა სასმელების გადაზიდვის შესახებ არჩეულმა კომისიამ დაადგინა ნება მიეცეს ვაჭრებმა გაიტანონ რკინის გზით ღვინო კონიაკი ლუდი და სხვ სპირტეული სასმელიი თუ კი ამის შესახებ ნება ექნებათ დართული გუბერნატორისაგან, ან აქციზისაგან.

✦ „სახალხო გაზეთის" რედაქციიდან გაუნთავისუფლებიათ ჯარში გაწვევისაგან 13 კაცი პირველ იანვრამდე.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ შინაგან საქმეთა მინისტრი ამზადებს ახალ კანონ პროექტს ებრაელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში კარგი ამინდებია. საღამობით წვიმაა ხოლმე და არც სიცხე და მტვერი გვაწუხებს ძველებურად. ტემპერატურა 18 C.

✦ როგორც იმერეთის სხვა და სხვა ადგილებიდან გადმოგვცემენ—მოსავალის კარგი პირი უჩანს, განსაკუთრებით კარგ მოსავალს ელიან საჩინოს მხარესკენ და საერთოთ რიონის დაბლობებში, სადაც სიმინდს ხანგრძლივმა სიცხემ ვერაფერიავნო. ზემო იმერეთში ასეთ მოსავალს არ ელიან თუმცა სიმინდები შარშანდელზე გაცილებით უკეთესია.

✦ ქ. შ. წ კ. საზოგადოების ყვირილის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რათა ნება მისცეს გახსნას უფასო წიგნთსაცავ, სამკითხველო სოფელ არგვეთში

✦ ა. ვ. გუდოვიჩი თბილისს გაემგზავრა. მის მაგივრათ გუბერნიას განაგებს ვიცეგუბერნატორი ნ. ე. ვენცელი.

✦ რკინის გზის უმაღლეს სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ სადგურზე მიიღონ ზომები, რათა გაუშვან კავკასიისათვის 260 ვაგონი შაქარი. შაქარი 15 აგვისტომდე უნდა ჩამოვიდეს.

✦ 31 ივლისს სად. სუფსაში გულ შესაზარავი ამბავი მოხდა: ძმები შარაშიძეები თავს დაეცენ ადგილობრივ მცხოვრებს კაპიტონ მეჩხია და ხანჯლით აკუწეს იგი. მეჩხიას ერთი წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცი იყო. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია, ასახელებენ შურის ძიებას რომანიულ ნიადაგზე. მკვლელობის ადგილზედ მსწრაფლ მოვიდა ადგილობრივი ბოქაული ბ. გოცირიძე, მაგრამ მეჩხია მკვდარი დაუხვდა მკვლელები დააპატიმრეს

✦ როგორც თბილისიდან გადმოგვცემენ გაზეთ „კავკაზსკოესლოვოში„ გაუნთავისუფლებიათ ჯარში გაწვევისაგან 52 კაცი, მათშორის 24 ასოთ ამწყობი და დანარჩენი რედაქციაში და კანტორაში მომუშავენი.

**გ. ფ. ზდანოვიჩის ავადმყოფობა.**

30-ს ღამე შედარებით უკეთ გაატარა მაჯისცემა 64—66. 31 ს ივლისს შუადღისას ავათმყოფი ინახულეს ბათომიდან მოსულმა ექიმებმა: გრ. ელიავამ, კონდრატი მხეიძემ, ადგილობრივმა ალექსანდრე ოუმანიშვილმა და ელენე ბენიაშვილისამ, რომელთაც ერთხმად აღიარეს, რომ ავადმყოფის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია უწინდელთან შედარებით.

ექიმი ბენიაშვილი.

✦ მასწავლებლების ჯარში გაწვევა. ავტორიტეტული წყაროდან გადმოგვცემენ, რომ გრაფ იგნატიევის ცირკულიარი მასწავლებელთა ჯარში გაწვევის შესახებ ეხება მხოლოთ რუსეთს და კავკასიისთვის მოელიან ახალ განკარგულებას რომლითაც აქაურ მასწავლებლებს მეტი შეღათი მიეცემათო.

✦ რადგანაც რუსეთში ქაღალდის სიძვირე თანდათან მატულობს უმაღლესი მთავრობის განკარგულებით აკრძალულია ყოველივე საიუბილეო გამოცემების და ბეჭდვა.

✦ კვირას 14 მარიობისთვეს ს. ოფშკვიტში გრ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით გაიმართება წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით.

✦ ს. ნაგარევის, სენ. მაზ. მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება მიეცეს მათ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „სინათლე".

✦ ქ. ქუთაისის ზოგიერთ მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ყაირათი".

✦ სამეცნიერო აკადემიის მიერ დანიშნული ნოვოჩერკასის ინტიტუტის ასისტენტი ა. ა. თვალჭრელიძე ამ ჟამათ ახალ სენაკის მახლობლათ ახდენს თავსაბანი მიწის გამოკვლევას.

✦ მეფის მოადგილემ ნება დართო ინჟ. გინცბურგს გახსნას ქ ბაქოში ებრაელთ გიმნაზია ისტორიის ებრაელურ ენის და რელიგიისს სწავლებით.

✦ 31 ივლისს ქუთ. მცხოვრებ ნ ფანცხავას სახლიდან ვილაც ბოროტ გამძრახველებმა გაიტაცეს 169 მანეთი.

✦ როგორც სხვადასხვა ადგილებიდან გვაცნობებენ, ქუთაისის თბილისის გუბერნიებში და თერგის ოლქში უკვე დამთავრებულა სამეურნეო აღწერა.

✦ ს. ბალაჯარა ამიერ კავკასიის და ვლადიკავკასის რკინისგზის სამმართველოების შეთანხმებით გადაეცა ამიერ კავკასიის რკინის გზას. აწი სად. ბალაჯარი იქნება „სარტიროვაჩნი სტანცია" და მატარებლების აჩერება მოხდება სად. ბაქოში.

✦ როგორც ვიცით ამ ჟამათ რუსეთში წამლების სიძვირეა. ამ ბოლო ხანებში რუსეთში დაიწყეს სამკურნალო მცენარეების გაშენება, მაგრამ ეს საშუალება მაინც მცირე გამოდგა. ეხლა სამიწათმოქმედო სამინისტრომ საჩქარო განკარგულება გასცა, რომ ყველა მებაღეებმა, რომელნიც სახელმწიფო ხარჯზე აშენებენ სამკურნალო მცენარეები გააფართოვონ ეს წარმოობა, გაართულონ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვა.

✦ ახალი სასწავლებელი. შაბათს, 20 ივლისს დ. ძველ სენაკში დიდის ამბით აკურთხეს ახლათ აგებული უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. კურთხევას დაესწრენ ქუთაისის საგუბ. სახალხო სკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი, ინსპექტორი ბრუსილოვსკი და მრავალი სხვა საპატიო პირნი

✦ საბოლოოთ გადაწყდა ს. ტობანიერში გაიხსნას უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი. სწავლა დაიწყება სექტემბრიდან.

✦ ამ მოკლე ხანში შემოვა ხმარებაში ახლათ გამოსული ქაღალდის „კუპონები". ქაღალდის ფული გამოვა 50 მილიონი მანეთის.

✦ სახალხო განათლების მინისტრმა განკარგულება გასცა რომ ქალთა გიმნაზიებში ეგზამენები სწარმოებდეს გაზაფხულზედაც და შემოდგომაზედაც.

# შენიშვნა.

**(სახალხო ფურცლის წერილების გამო სამღვდელოებაზე.)**

პრესის საშუალებით „ქართველი სამღვდელოების გამათრახება იშვიათი არც აქამდე ყოფილა და ამ ბოლო დროს უფრო გახშირდა.

„სახალხო ფურცლის" №631 და 633 მოთავსებულ წერილებში ვინმე ერისკაცი სასტიკათ ამათრახებს ჩვენ სამღვდელოებას. მისი აზრით ქართველი სამღვდელოება მუქთახორა, მცონარა და სრულებით უნარ დაკარგულია ქართულ ეკლესიის ფეხით გათელილ უფლებათა აღდგენა-განმტკიცებისათვის, რაისათვისაც ქართველმა ერმა და მისმა დაწესებულებებმა თითონ უნდა იკისრონ ძვირფასი ეროვნული განძის (ეკლესის) მოვლა-პატრონობაო.

ჩემის ფიქრით, რამდენადაც ... ქართველთა ერის მშობლიურ ეკლესიის უფლებათა აღდგენაში საერო წოდების განზე გადგომა მიუტევებელი ცოდვა იყო, იმდენად დღეს ამავე საკითხში სამღვდელოების გამოთიშვა უმიზნო და თვით საქმისათვის საზარალო იქმნება. ეკლესიას სამღვდელოება და საერო წოდება შეადგენს. ეკლესია უმღვლოდ იგივეა, რაც ტანი უთავოთ და ასეთი ეკლესიის უფლებათა აღდგენაც ისეთივე ამაო ოცნება უნდა იყოს, როგორც უთავო ტანის გაცოცხლება. მაგრამ, საბედნიეროთ, ეს ასე არ არის.

ოჯახი უმახინჯოთ არ იქნებაო, ამბობს ანდაზა და რა გასაკვირველია იმ დიდ ოჯახშიაც, რომელსაც ქართველი სამღვდელოება ქვია, უკუღმართი პირობებისა გამო ბევრი მახინჯი და თავის დანიშნულებისათვის შეუფერებელი წევრი ერიოს, მაგრამ ეს ნებას არავის აძლევს მთელი სამღვდელოება გაანიავოს. განა ცოტა ჰყავდა და ჰყავს ქართულ ეკლესიას სასიქადულო სასულიერო კაცი, რომლებიც თავგამოდებით იცავდენ და იცავენ ამ ეკ. უფლებებს? რატომ ავიწყდება წერილების ავტორს ასეთი თავგამოდებისათვის „დაჯილდოვებული სასულიერო პირები? მასვე რომ გახსენებოდა წიგნი ტონკმელისა, იმერეთის სამღვდელოებისაგან მინისტრთა კომიტეტში შეტანილი ვრცელი პეტიცია, რომელიც უმაღლესი ბრძანების ძალით, მთელი რუსეთის მომავალმა სასულიერო კრებამ უნდა განსაჯოს, ან და ამ ბოლო დროს გურია-სამეგრელოს სამღვდელოების ჟურნალური დადგენილება, რომელიც უცვლელად „საქართველოში" იყო დაბეჭდილი და რომლითაც ამ სამღვდელოებამ ჩვენი ეკლესიის დაკარგულ უფლებათა აღდგენის საფუძველი შესამჩნევად გაამაგრა, მაშინ ქართველ სამღვდელოებაზე ასეთი ბრალდებით არ გამოილაშქრებდა. ქართლ-კახეთის სამღვდელოება, როგორც არა ხელსაყრელ პირობებში მყოფი, სრულებითაც რომ არ ვიანგარიშოთ, მარტო იმერეთის სამღვდელოებამაც ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს ქართული ეკლესიის უფლებათა აღდგენისათვის

გულუბრყვილო ადამიანმა შეიძლება ისიც სთქვას—ჯერ ვინ რა გააკეთა, როდესაც ჩვენი ეკლესია ისევ უფლება ახდილი არისო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მთავრობა უცბად არაფერს არ იძლევა. მთავრობამ ასეთი დიდი საკითხის დროით გადაჭრა კი არა, ერობის შემოღებაც ვერ განახორციელა ჩვენში, თუმცა დიდი ხანია ამისათვის თავგამოდებულია ადგილობრივი ინტელიგენცია და დაწესებულებანი.

საეკლესიო უფლებათა აღდგენის საკითხს ამ ბოლო დრომდე საერო წოდებაში მოსარჩლე არ ჰყოლია და ეს გარემოება, ჩემის ფიქრით, უმთავრესი მიზეზთაგანია უმაღლესი მთავრობისაგან ამ კითხვათა აბუჩად აგდებისა და ჩიფუჩიჩისა. ბევრ მოინტელიგენტე ქართველს სიცილად არ ყოფნიდა, როდესაც ამ რამოდენიმე წლის წინეთ თბილისში შეკრებილი სამღვდელოება მათრახის ცემით გაფანტეს და რაღაც ცინიკური სიამოვნებით გვეკითხებოდენ: „როგორ იყო, რომ ავტოკეფალიამ კეფა გაგიხარათო".

სწორედ საოცარია ეხლანდელი ქართველი სამღვდელოების ბედი: ერთი საქმის ერთგულება-თავგამოდებისათვის ამათრახებს და მეორე იმავე საქმისადმი დაუდევრობა-გულგრილობისათვის! ბ-ნ ერის კაცისაგან სამღვდელოებისადმი მოძღვნილი მათრახები გამოიწვია ვოლჟინის ჩვენში ჩამოსვლამ. ის ისაყვედურება, რომ სამღვდელოებამ სინოდის ობერპროკურორთან მარტო კუჭის დაკმაყოფილება ითხოვაო. ვოლჟინის მობრძანება ჩვენში ისეთი ხანმოკლე იყო, რომ მასთან რაიმე საგანზე ოფიციალურად საუბარი თითქმის შეუძლებელი იყო. ყ-დ სამღვდელო გიორგისაგან ვოლჟინისადმი მიმართულ სიტყვაში ცხადად გამოიხატებოდა ქართველი სამღვდელოებისა და ერის შეურყეველი სურვილი შესახებ ჩვენი ეკლესიის უფლებათა აღდგენისა. ამავე საგანზედ კერძო თათბირში ბევრს რამე საყურადღებოს მოისმენდა ბ-ნი ვოლჟინი ყ-დ სამღვდელო ლეონიდისაგან.

ასეა თუ ისე, დღემდის ქართველ სამღვდელოებისა და მის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის უმოქმედობა-დაუ-

---

სიკვდილის შემდეგ და ამიტომ მიაქცევს ამ გარემოებას თქვენს ყურადღებას და იმედი აქვს, რომ თქვენ აქაც გამოიჩენთ ჩვეულებრივ კეთილ-განწყობილებას და შესაფერ გადაწყვეტილებას, დაადგებით ამ საქმის შესახებ.

ამნაირი თხოვნა ჯამაგირის შესახებ უნდა წარადგინოს პალატაში ყოველმა ახალმა მეფემ. პალატაც ამ თხოვნის მიღებისთანავე ირჩევს განსაკუთრებულ კომისიას ჯამაგირის რაოდენობის გამოსარკვევად ამ კომისიაში, ჩვეულებისამებრ, იღებენ მონაწილეობას ყველა საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელნი იმისათვის, რომ ხალხის ყველა მიმართულების წარმომადგენელს ჰქონდეს ხმა სახელმწიფოს ხარჯების გადაწყვეტაში.

ედუარდ მეფის თხოვნის გასარჩევადაც აირჩიეს კომისია, რომელმაც წარადგინა პალატაში განსახილველად ორი მოხსენება,—ერთს აწერდა ხელს კომისიის უმეტესობა (14 პირი), მეორეს მხოლოდ ერთი ადამიანი,—ლაბუშერი, რომელიც საზოგადოდ მეფის უფლების წინააღმდეგია და ამბობს, რომ პალატისაგან არჩეულ მინისტრებს და მათ თავმჯდომარეს შეუძლიანთ ადვილათ შეასრულონ ის საქმე, რომელსაც ეხლა ასრულებს მეფე და რომ ამნაირად დიდძალი ხარჯი მოაკლდება სახელმწიფოსო.

პალატამ, რასაკვირველია, უმეტესობისაგან წარდგენილი წინადადება მიიღო და თვით მეფე ედუარდ მეშვიდეს დაუნიშნა ჯამაგირად 470,000 გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი თითქმის 9 მან. 30 კაპ. არის).

ამასთანავე პალატამ განსაზღვრა, როგორ ან რაზე უნდა დახარჯოს მეფემ ეს ფული? მეფის და დედოფლის ჯიბის ფულად ან მათ კერძოდ სახარჯოდ არის გადადებული 110,000 გირვ. სტ. სასახლეების სასახლეების შენახვაზე 193,000 გ სტ., შეკეთებაზე—20,000 გირ. სტ, სასახლეში მოსამსახურეებზე, კარის კაცებზე და მათ პენსიებზე 125,800 გირ. სტ., მეფეს და დედოფალს მოწყალების გასაცემად და შეწირულებისათვის ეძლევათ 13,200 გირ. სტ., და სხვა და სხვა მოულოდნელ ხარჯის გასასტუმრებლად კიდევ 8000 გირვ სტ

ამას გარდა პალატამ დაუნიშნა მეფის შვილებს 73,000 გირვ. სტ. და კიდევ თითქმის 70,000 გირვ. სტ. ეძლევა მეფის სხვადასხვა ნათესავს.

ამნაირად მეფეს და მის გვარეულობას აძლევს სახელმწიფო ყოველწლიურად სახარჯოდ 613,000 გირვ. სტერლ, ან თითქმის 6,000,000 მანათს.

მაგრამ, სამაგიეროდ, მეფის სახლობა აძლევს სახელმწიფოს მთელ თავის საკუთარ ადგილ-მამულის შემოსავალს. მეფეს და მის მახლობელ ნათესაობას აუარებელი ტყეები ეკუთვნის, ბევრი შემოსავლიანი ადგილიც. მეფე გიორგი I ის დროს (1714—1727 წწ.) ამ მამულების შემოსავალი აღემატებოდა 1,000,000 გირვ. სტერლ. და მიდიოდა თვით მეფის სასარგებლოდ. 1775 წელს კი მეფე გიორგი მესამემ მეფის საგვარეულო მამულების გამგეობა გადასცა სახელმწიფოს და შემოსავალიც მისცა ხაზინას. პალატამაც დაუნიშნა მას სამაგიეროდ ჯამაგირად 900,000 გირვ. სტერლ.

მაგრამ მალე ასეთი ჯამაგირი ნამეტანად ეჩვენა ხალხს და ამ მეფის შვილს, ვილჰელმ მეოთხეს, დაუნიშნეს მხოლოდ 510,000 გირვ. სტ. და დედოფალ ვიქტორიას ჰქონდა კიდევ ამაზე ნაკლებიც,—385,000 გირვ. სტ, ე. ი. თითქმის სამ მილიონ ნახევარი მანათი.

ვიქტორიას სიკვდილის შემდეგ ედუარდ მეშვიდეს ისევ მეტი გადაუწყვიტეს—613, 000 გირვ.

შეიძლება ეს ფულიც ზოგიერთს ნამეტანი ეგონოს, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა, რომ სამაგიეროდ ხაზინას შემოსდის დიდძალი ფული მეფის კერძო მამულებიდან.

ფინანსთა სამინისტროს გამოანგარიშებით ამ მამულებში შემოდის ყოველ წლიურად 580,000 გირვ სტერლ. ეს ფული რომ გამოვაკლოთ მეფის ჯამაგირს, გამოვა რომ ინგლისის ხაზინას ნამდვილად ეხარჯება თავის ფულიდან მეფეზე მხოლოდ 33,000 გირ. სტერლ., ან თითქმის 300,000 მანათი,—დანარჩენი მისივე მამულების შემოსავალია.

სამასი ათასი მანათი მეფის ჯამაგირი!

მაგრამ ნამდვილად ზოგიერთი რამე ამასაც უნდა მოვაკლოთ.

ინგლისში შემოღებულია საყოველთაო გადასახადი შემოსავალზე —ამ გადასახადს იხდის, როგორც ღარიბი, ისე მდიდარიც და ამასთანავე მდიდარი თითო მანათ შემოსავალზე მეტს იხდის, ვიდრე ღარიბი.

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში მეფე თავისუფალია ყოველგვარ გადასახადიდან, ინგლისში კი მეფე იმდენად არის გათანასწორებული სახელმწიფოს დანარჩენ მცხოვრებლებთან, რომ სახელმწიფოსაგან მიღებულ ჯამაგირზე იხდის გადასახადს ისე,როგორც უკანასკნელი ინგლისელი, ისე რომ ზემოდ მოხსენებულ 300,000 მანათიდან კიდევ ერთი დიდი ნაწილი გადასახადის სახით უბრუნდება ხაზინას.

საზოგადოთ, რომ დავაკვირდეთ მეფის უფლებას და მეფის მდგომარეობას ინგლისში, უნდა აღვიაროთ, რომ იქ სიტყვა „მეფე"-ს თავისებური, განსხვავებული მნიშვნელობა მიეცა.

ინგლისში თუ არის მეფე, არის მხოლოდ სახელით, საქმით კი ბატონი და გამგე თვით ინგლისის ხალხი, მისი წარმომადგენლები,—ზემო და ქვემო პალატა

—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნელობის დაწამება მშობლიურ ეკლესიის უფლებათა აღდგენაში სინამდვილის უარისყოფაა და, თუ შემდეგში ამ ეროვნულ საკითხს მთელი ერი თავგამოდებით მხარს დაუჭერს, კიდევ უკეთესი, ძალა ერთობაშია და მიზანიც უფრო ჩქარა და ადვილად იქნება მიღწეული

მღ. სიმონ ჭუმბურიძე.

## პატარა ფელეტონი.

### ძველი ამბავი.

გამიგონია, რომ წინად (რამდენი წელიწადია მას შემდეგ, აღარ მახსოვს) გერმანეთსა და საფრანგეთს დიდი ჩხუბი ჰქონდათო. დაერიენ თურმე ერთმანეთს განათლებული გაცები და ერთი მეორეს სულ ცხვირპირში სისხლი ადინესო. გერმანელებმა მაშინ ფრანგებს აჯობეს... იმდენი ფული გადაახდევინეს ფრანგებს, რომ სულ ვაგონებით ეზიდებოდენ ფატერლანდიისკენო...

გაუკვირდა ყველას—გერმანეთმა როგორ სძლია განათლებულ საფრანგეთსო. იკვლიეს მეცნიერებმა ეს საკითხი, ბევრი მიზეზი გამონახეს, ვარსკვლავთ მრიცხველებიც კი დატრიალდენ თურმე და ბოლოს გამოიკვლიეს:

—საფრანგეთი გერმანელმა სახალხო მასწავლებლებმა დაამარცხაო.

—როგორ თუ სახალხო მასწავლებელმაო? იოცებდა ყველა.

— ჩვენი ჯარი ხიშტის წვერზე ეგებოდა, რომ მტერი დაემარცხებინა და მასწავლებელი აქ რა შუაშიაო ამბობდენ თურმე გერმანელი იუნკრები (როგორც გავიგე იუნკერი გერმანეთში სამხედრო პირი არ ყოფილა.)

გამოირკვა, რომ მასწავლებელმა აღზარდა ცოდნით აღჭურვილი თაობა, ამ თაობამ თავის ცოდნით გაიმარჯვა, გაიმარჯვა მასწავლებლის შრომამ, მისმა იდეამ და მაშასადამე მასწავლებელმა გაიმარჯვა. ცოტა ხნის შემდეგ ყველა შესთანხმდა ამ საკითხში და ეხლა როგორც გადმოგვცემენ ყველა გერმანელი გეტყვის ამ ფრაზას ღრმა რწმენით.

—დიაღ, საფრანგეთი ჩვენმა სახალხო მასწავლებელმა დაამარცხაო.

გავიდა თურმე დიდი ხანი და დაიწყო დიდი ომი ხალხთა შორის (ამის შესახებ ბევრი საინტერესო მასალები მოიძებნება ძველ საისტორიო წიგნებში) ამბობენ, რომ დიდი სისხლის ღვრა იყო მაშინო. ომიც დიდ ხანს გაჭიანურდა თურმე ერთ სახელმწიფოს საქმე ძალიან გაუჭირდა. შეიკრიბენ დიდებულნი ამა ქვეყნისანი და ქმნეს ბჭობა და მსჯელობა ომსა ზედა.

როგორ გავიმარჯვოთ, როგორ დავამარცხოთ მტერიო!

ბევრი ატრიალეს წარჩინებულებმა თავის მელოტ თავებში მოქცეული ტვინის ნაშთები, ბევრიდიდებული აზრი გამოთქვა სხდომაზე, მაგრამ ვერაფერი გადასწყვიტეს..

ევრიკა—დაიძახა ერთმა მოხუცმა ჩინოსანმა, მე ვიცი!

—რა, რაიცი, კაცო რისი ევრიკა...

—ვიცი, როგორ დავამარცხოთ მტერი...

როგორ? დაეკითხენ დიდებულნი...

—გახსოვთ თქვენ, როგორ დაამარცხა გერმანეთმა საფრანგეთი მას ჟამსა შინა?.. ვინ დაამარცხა მაშინ, რითი გაიმარჯვა გერმანეთმა?

—მასწავლებლის შემწეობით „საფრანგეთი სახალხო მასწავლებელმა დაამარცხა"..

—მადლობით... ჩვენც მივმართოთ ამ ხერხს... მოვიხმაროთ სახალხო მასწავლებლები ..

კრება გათავდა და დიდებულებმა გამოიტანეს დადგენილება, რომ თუ კი სადმე სახალხო მასწავლებელი მოიპოვებოდა მამრობითი სქესისა, რასაკვირველია, ყველა ჯარში გაეწვიათ... და გაიწვიეს კიდეც...

იმ ქვეყანაში თურმე მასწავლებლებს კუჭი შიმშილით ჰქონებიათ გამხმარი და სიკვდილს ყოველ დღე ნატრულობდენ, და მაინდა მაინც ძრიელ არა წყენიათ ომში გაწვევა.

ასე მოგვითხრობს ამ ამბავს მემატიანე. ის აღნიშნავს მხოლოდ მშრალ ფაქტს ერთ მკვლევარს მგონი ვერ გაეგო თუ რა ქნა ომის ასპარეზზე მასწავლებლებმა და ასეთი წარწერა გაუკეთა მატიანეს.

„გაიმარჯვე(?)და მასწავლებელი თუ არა?"

მე სამხედრო პირი გახლავარ და ისევ თქვენ თვითონ გასაჯეთ, მკითხველო თუ რა მოხდებოდა...

მახათი

## აკაკის საღამო

**ქ. გუმბრი.** (ალექსანდროპოლი)

კვირას, 24 ივლისს, სახალხო სახლში აქ გაიმართა „აკაკის საღამო", რომელმაც დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა.

საღამოს პროგრამა მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო ფარდის ახდის შემდეგ მოისმა შოპენის სამგლოვიარო მარშის ხმა; როიალზე უკრავდა ა. ფალიაშვილი. ამავე დროს აკაკის სურათის გარშემო, რომელიც ყვავილებით იყო შემკული, იდგა მგალობელთა გუნდი მარში რო გათავდა ამ გუნდმა ორკესტრის აკომპანიმენტით სამჯერ იმღერა „მრავალ ჟამიერ". შემდეგ ამისა სცენაზე გამოჩნდა ქუთ. სახ უნ-ტეტის ლექტორი ალ. გარსევანიშვილი; საზოგადოება მას ოვაციებით მიეგება და ტაშის ცემიც დაუხვდა.

წერა კითხვის საზოგადოების გამგეობის თხოვნით—ასე დაიწყო ლექტორმა მე დღეს უნდა წავიკითხო ლექცია აკაკის შესახებ ქართულად. რადგან აქ ბევრია ისეთი მსმენელი, რომელსაც არ ესმის ქართული ენა, მე იძულებული ვარ, რუსულადაც წავიკითხო. ჯერ, რასაკვირველია, ქართულად მოგახსენებთ და შემდეგ რუსულად. ლექციის დაწყების წინ ბ. ალ. გარსევანიშვილის წინადადებით, აკაკის ხსოვნას ხალხმა ფეხზე ადგომით სცა პატივი. შინაარსი ლექციისა მარტივად იყო გადმოცემული და ხალხს მოეწონა; ლექტორი დააჯილდოვეს მხურვალე ტაშის ცემით.

ლექციის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა ითამაშეს ვოდევილი „მონადირე"—ვ. გუნიასი. რეჟისორობდა ბ. აბელაშვილი. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა; ნამეტნავად მოგვეწონა ვლ. ვარდოსანიძის თამაში (არჩილ უშტვინაძის როლში), დანარჩენებიც ხელს უწყობდენ ანსამბლს.

მესამე განყოფილება იყო დივერტისმენტი: წაკითხულ იქნა აკაკის რამოდენიმე ლექსი და სცენა. კითხულობდენ რუსულად და ქართულად. ყველას ძალიან მოეწონა ქ-ნ ავალიანის კითხვა ბ-ნმა ფალიაშვილმა მშვენივრად შეასრულა სოლო როიალზე; კარგათ იმღერა თარის აკომპანიმენტით ქ-ნმა ევანგულოვმა „აღმართ აღმართ მივდიოდი მე ნელა"!.. ერთი სიტყვით, დივერტისმენტში მონაწილენი, ორიოდ-სამიოდე გამონაკლისის გარდა, თავის ალაგას იყვენ და ასიამოვნეს მსმენელნი

მეოთხე განყოფილებაში მონაწილეობას იღებდა ხორო. მან შეასრულა „მკის მუსიკალური სურათი". ზოგიერთი სიმღერა კარგათ შეასრულა გუნდმა, მაგრამ საერთოდ ვერ დაგვაკმაყოფილა. პირველი ხმა აკლდა, განსაკუთრებით ეს ეტყობოდა კახურ მრავალ-ჟამიერ"-ში. როგორც სჩანს, საკმარისად არ ყოფილა გუნდი მომზადებული. გარდა ამისა ბ. ხატიაშვილი—(პირველი მაღალი ხმა) იმ დღეს ავად იყო.. აი ამით აიხსნება ზოგიერთი დეფექტები. მიუხედავათ ამისა, მადლობის ღირსია როგორც გუნდში მონაწილენი, ისე მისი ლოტბარი დიმ მგალობლიშვილი. ეჭვი არ არის, რომ მომავალში ეს ხორო უფრო კარგად მომზადდება.

დასასრულ დაიდგა ცოცხალი სურათი „აკაკი წერეთლის იუბილე". საღამო გვიან გათავდა, რადგან იგი დაიწყო ათ საათზე.

შემოსავალი 400 მანათამდი ავიდა. ეს საღამო გაიმართა ადგილობრივ წერა კითხვის საზოგადოების თაოსნობით და მადლობას უძღვნით გამგეობას. იმედია, კიდევ გაიმართება ასეთი საღამოები: იგი ზნეობრივათ აკავშირებს გუმბრში მცხოვრებ ქართველობას და ქონებრივად აღონიერებს წ. კ. გ. საზოგადოებას.

დროებით გუმბრელი

## პროვინციის ცხოვრება.

**ს. რცხილათი.** (ზემო იმერეთი) არა მგონია თუ ერთი სოფელი მოიძებნება ასე ყოველმხრივ ჩამორჩენილი, როგორიცაა ს. რცხილათი. თითქმის ამ სოფლის ახლომახლო სოფლებში ყველგან არსებობს კულტურული დაწესებულება და ამ სოფელში კი, ვითომც არაფერი ჰკირდებოდესთ—არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. ზემოხსენებულ სოფელში თითქმის არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს. არსებობდა ექვსი წლის წინათ ერთი სამრევლო სკოლა, მაგრამ ის რამოდენიმე ვაჟბატონთა წყალობით დაიხურა ეხლა თითქმის ყველას სწადია აქ სკოლის დაარსება, მაგრამ რადგანაც ხალხი სიძვირის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის, ეს საქმე გაჩერებულია.

იმედია, რომ ამ სოფლის გულშემატკივარნი აქტიურათ ხელს შეუწყობს ხალხს და კეთილ გზაზედ დააყენებს ხალხი, უგზოობის გამოც დიდ გაჭირვებას განიცდიან. დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო და წყლისაგან დაქცეულ დანგრეულ გზებზე სიარული ყოვლად შეუძლებელი ხდება. ადგილობრივმა მოწინავე პირებმა ამ საქმესაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

გიგლა რცხილათელი.

—

(ჟურნალ გაზეთ).

ზუგდიდის მაზრა დიდ გაჭირვებას განიცდის ყველა მუშა-ხელი ჯარში გაიწვიეს, მიუხედავად ამისა ხალხი მაინც ცდილობს კულტურულ-ცხოვრებას არ ჩამორჩეს.

—

**სოფ. აბაშაში** ხალხი სიძვირის გამო მეტად შეწუხებულია.

—

როგორც „საქართველო" გადმოგვცემს, ხევსურეთი განსაცდელში ყოფილა.

საქართველოს ბევრი ომი უნახავს, მაგრამ მთის მცხოვრებს კი მაინც ვერ დაურღვევია. ახლანდელმა ომმა კი თავისი ბადე მთიულებსაც დაასხა. ხალხი ჯარშია გაწვეული, ვინც დარჩა, შიმშილი სტანჯავს. გახშირდა ყაჩაღობა და მძარცველობა. ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურადღებით სტოვებს ხალხის გაჭირვებას.

—

**სოფ. შემოქმედში** გადაუწყვეტიათ ყოველ-გვარი საშუალება მიიღონ და დეზერტირები მოსძებნონ.

აგრეთვე გადაუწყვეტიათ პირველ ენკენისთვიდან გაიხსნას უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი და ის 3000 მანეთი, რომელიც პირველ ხანებში სკოლისთვის არის საჭირო, სოფელმა გადაიხადოს.

—

ოზურგეთის საზოგადო ფარდულში 1500 ფუთი პარკი შემოსულა. პარკი მოგროვებულია აგრეთვე დ ჩოხატაურში და სხვაგან მაგრამ ჯერ გაზიდვას აგვიანებენ, ვინაიდგან ეხლანდელ ფასებს სასურველად ვერ სცნობენ.

—

**დ. ლანჩხუთი.** ქ. ნ. ალ. ყიფიანის ასულის მიერ გახსნილ ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ასწავლიან ყოველგვარ ხელსაქმეს და საგნებს.

პროგრამის მსურველს შეუძლია მიიღოს სასწავლებლის გამგისგან.

## რუსეთი.

ამას წინად ხმა გავრცელდა, მმართველი წრეები მოწადინებული არიან ერთხელ და სამუდამოდ გადასწყვიტონ ებრაელთა საკითხი ებრაელთა სასარგებლოდ. როგორც ეხლა გამოირკვა არაფერი ამის დაგვარი არა მომხდარა რა, მხოლოდ ერთ ცნობილ ბიუროკრატს წერილობითი წინადადება შეუტანია ებრაელთა საკითხის გადაწყვეტისა და უარი მიუღია, რადგანაც ჯერჯერობით უდროოდ სთვლიან ასეთი საკითხის წამოყენებას

—

ამ უკანასკნელ კვირას ფრიად საგულისხმო ამბავი მოხდა, მთელ თურქესტანში სამხედრო წესები გამოაცხადეს და მის მმართველად ცნობილი გენერალი კუროპატკინი დანიშნეს.

—

დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ამ მოკლე ხანში გამოქვეყნებული იქნება პოლონელების ბედის გადამწყვეტი აქტი. რუსის ინტელიგენცია დიდ იმედებს ამყარებს ამ აქტზე.

—

ბევრ ქალაქში რუსეთის სამარხვო დღეების შემოღებისთანავე მწვანილეულობის ფასს ერთი ორად უმატნია.

—

ინგლისისა და იაპონიის ფეხსაცმელებს დიდი ბაზარი გაეხსნათ რუსეთში ამ ომიანობის დროს, ვინაიდგან რუსულ ქარხნებში დამზადებულ ფეხსაცმელებს ბევრით სჯობს და სულ 12—15 მანეთად ღირს

—

ნიკოლაევის რკინის გზაზე სად. ლოზოვაიასთან ფოსტის მოხელეს კუპრიენკოს გაუტაცია 150000 მან. ნაღდი ფული და მიმალულა.

—

რუსულ პოლონურ სამრეწველო საზოგადოებათა ფასიან ქაღალდების ღირებულებამ ბირჟაზე ბოლო დროს იმატა; ამას ხსნიან იმ გარემოებით, ვითომც ახლო მომავალში რუსის მთავრობა ავტონომიას აძლევდეს პოლონეთს.

—

პეტროგრადის უნივერსიტეტში ჯერჯერობით მხოლოდ 400 თხოვნა მიუღიათ ახლად კურსდამთავრებულთაგან. შარშან ამ დროს კი 1600 თხოვნა იყო შეტანილი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**".

### გერმანიაში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des
Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
liedesgaden für die russihen
Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse,
№ 48, A. A. Baxepaxъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse Bureau
Russepour des prisonniers de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge
Agence des prisonniers be guerre
Genéve.



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს 3 „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს 8 „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 20 „ |

## ს უ ს უ ნ ა ტ ი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**". ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავოის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул , № 12 отд. 1

## საღი კუჭი
## ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აჭარწყლებს კალაგვის მასსას, ასაპებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთს და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)